



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობილ ბუქ-
უდის სიფყვას, ფუფილუბით და ჭებრბით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკადრისბბბბუ უსამაგლსია.

გაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 5 აპრილი. 2023 წ. №39 (9571) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

„აღამიანი – დელფინი“



ჰენრი კუპრაშვილი:

მთელი ერი ხელფესუბერული რომს ვიყოთ, მიზნისკენ სავალ გზას მაინც არ უნდა ავსდეთ!

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის
ბატონია, რომ მე, ქართველმა კაცმა, მსოფ-
ლიოში სათავე დავუდო სრულყოფილ ბატონობის
ახალ წესს. არადა, რატომღაც ამ ბარემოვას
აქმევენ ყველაზე ნაკლებ ყურადღებას, რო-
მელიც უმეტესად სხვა ასევეტებზე ბატონობს.
არადა, სამართაშორისო სარბიელზე ქართველ

საორტსმენთა უამრავი ბრწყინვალე მიღ-
წევის მიუხედავად, ჩვენში მაინც ნაკლებ-
ბადაა რომელიმე სახეობაში პიონერი, პირ-
ველგამფლელი, ამდენად ამისა მე ყველაზე
მეტად მუშაობა.

№ 5 გვ.

კვლავაც მხედ და უმბრთებით!

ნების სიმტკიცით გამორჩეული მეცნიერი, მუშობიური ენის სინთინდის მსველი



№ 6 გვ.

ნიკო ლაიხვილი:

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა დღესაც სამაგალიტოა!

№ 4 გვ.



9 აპრილს ოპოზიციის ყველა მიტინგი აპრკალეთ!

2

ირაკლი კობახიძე:

ქუზარაშვილისგან დანაშაული არავის უკვირს, რადგან ის არის სისსლიანი, კორუმპირებული ოლიგარქი!

ცხინვალში ეჭიბების, წამლებისა და სამედიცინო აღჭურვილობის დეფისციტია

3

ირაკლი ღარიბაშვილი:

პოლიციაზე თავდასხმას არავის პაპატიებთ!

2

თადლითები „ევროპის სახალხო პარტიიდან“!

გელგიოს კოლიციაზე გრეუსალში „ევროპის სახალხო პარ-
ტიის“ სათავეო ოფისში რეიდი ჩაატარა, – ამის შესახებ გა-
მოცემა Euractiv-ს საკუთარმა წყარომ განუცხადა.
არსებული ინფორმაციით, პოლიციამ წაიღო კომპიუტერები,
რომელიც უკავშირდება ფინანსური თადლითობის საქმეს,
რომელშიც სავარაუდოდ „ევროპის სახალხო პარტიის“ პერ-
სონალი ფიგურირებს.




სოსო გოგაშვილს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამარ-
თლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამ-
სახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს
სოსო გოგაშვილს ხუთი წლით თავი-
სუფლების აღკვეთა მიესაჯა. გადაწყვე-
ტილება მოსამართლე ვალენტიან ბუ-
გაიანიშვილმა გამოაცხადა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსა-
ხურის თანამშრომლებმა სოსო გოგაშ-
ვილი 16 ივლისს დააკავეს.

მას ბრალდება წარედგინა მოხელის
მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილე-
ბის გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინ-
ტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია პერსონალუ-
რი მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცე-
ლება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსა-
ხურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და ცეცხლსას-
როლი იარაღისა და სამრძოლო მასალის მართლსა-
წინააღმდეგო შექმნა და შენახვა.



№ 11 გვ.

უერდეს ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე მუშაობა!!!

...ტურნიზმი, ვაჭრობა, მშენებლობა, წარმოება, ექსპორტი, – ყველა მიმართულებით გვაქვს სერიოზული პროგრესი და მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხებო ამ ყველაფერს შენარჩუნებისთვის რა არის საჭირო და აუცილებელი. არაფერი არ იქნება, თუ არ გვექნება ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა. ძალიან რთული მდგომარეობა მსოფლიოში. ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ასეთი გამოწვევა არ ყოფილა, უკრაინაში რაც ხდება, ხედავთ, რომ ომი არ ჩერდება უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი, 20%-ზე მეტი უკვე გადაქცეულია პოლიგონად და მიმდინარეობს გამანადგურებელი ომი. ქალაქები, სოფლები, რაიონები სწორდება მიწასთან და ამის შემჩერებელი არაფერია. ამიტომ, ის გეგმა, რაც არსებობდა ჩვენ წინააღმდეგ, უკრაინისთვის გეგმა და მეორე პოლიგონად გადაქცევის გეგმა ჩვენს მტრებს, რა თქმა უნდა, ჩაუვარდათ კიდევ ერთხელ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 3 აპრილის სხდომაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პოლიციისთვის „მოლოტოვის კოქტეილები“ სწორად არის მიუღებელი, რაზეც სახელმწიფო იქნება უკომპრომისო.

„რამდენიმე დღის წინ პოლიციამ დააკავა პოლიციამ თავდასხმელი, და გახსოვთ, ყველამ ნახა კადრები, ერთ-ერთმა ანარქისტმა როგორ ესროლა პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილი“. ანუ ამ ადამიანს განზრახული ჰქონდა პოლიციის წევრებს დაჭრა. მე გამოვედი და ვთქვი ჩემი პოზიცია, რომ ამას არავის ვაპატიებთ, ესაა მიუღებელი, წითელი ხაზი, რომელზეც ჩვენ ვიქნებით უკომპრომისო. ასევე, თქვენ ნახეთ, საზოგადოებამ ნახა, რომ გეგმა იყო გაცილებით უფრო რთული, მათი გეგმა იყო მუდმივი ქაოსის დათესვა, საბოლოო მიზანი მათი, რა თქმა უნდა, იყო ქვეყნის დესტაბილიზაცია, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, რაც, რა თქმა უნდა, არავის გამოუვიდა და გამოუვა. რაც შეეხება ანარქისტებს და მათ ინსტრუქტორებს, მინდა შევახსენო ყველას, რომ ეს ადამიანები იყვნენ მომზადებული იმისთვის, რომ მომხდარიყო პროვოკაციები, პოლიციის თვალსაზრისით, და ეს ყველაფერი არის თვალსაჩინო. ხალხმა ნახა კიდევ ერთხელ, რომ ამის მიზანი გაცილებით უფრო შორსმავალი იყო, მაგრამ მაღლობა კიდევ ერთხელ პოლიციას. სახელმწიფო დადგა ძალიან მკაცრად, გამოაჩინა სიძლიერე და გონიერება“, – განაცხადა პრემიერმა.

„კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს დევნილები მთელი ოპოზიცია, რომელიც არის ამოღებული ხელმო-

ირაკლი ღარიბაშვილი: პოლიციაზე თავდასხმას არაპირს ვაპატიებთ!

ცარული, თუ ვინმე ეწინააღმდეგება დღეს იმ სიკეთეს, რაც ჩამოვთვალე, – კეთილდღეობას, იმას, რომ მეტი შემოსავალი ნახოს ჩვენი ხალხმა, ესაა სწორედ ეს დევნილები, ექსტრემისტული ოპოზიცია. მათ არ უნდა, რომ ქვეყანაში იყოს მაღალი ეკონომიკური ზრდა, მშვიდობა, სტაბილურობა. ყველაფერს აკეთებენ, რომ შესწირონ საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოება. ამიტომ, მე მინდა ყველას ვუთხრა ძალიან მკაფიოდ, რომ დღეს ხელისუფლება არის მოლოტოვის სიმბოლო, მტკიცედ და ძლიერად დგას, ვინარჩუნებთ მშვიდობას, სტაბილურობას, მაღალ ეკონომიკურ ზრდას, და ამ გზაზე ჩვენ ვერავინ შეგვეწინააღმდეგება. ეს მინდა ვუთხრა მათ. აქ გადის ჩვენი ერთ-ერთი ინტენსივი, ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ინტენსივი და, მუნებრია, ამ ზრდაში ვიქნებით უკომპრომისო. მიუღებელია ის, რაც მოხდა, კატეგორიულად მიუღებელია. უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც არის მზადდებული და მხილველი პოლიციის თვალსაზრისით. ერთი რამ მინდა შევახსენო ყველას, – მავალია, ამერიკის შეერთებულ შტატებში რაც მოხდა კაპიტოლიუმზე თავდასხმის დროს, 4 ადამიანი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, ადგილზე მოკლეს 4 ადამიანი, რომელიც შეიჭრა კონგრესის შენობაში. ჩვენთან ეს, თურმე, ნორმაა, რომ ეს ანარქისტები შეგვეხვებოდნენ პარლამენტის შენობაში, თურმე, ნორმაა, რომ ცეცხლი გაუხსნან პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილებით“ და პოლიციამ არ უნდა იმოქმედოს, არ უნდა დაეჭიროთ არავინ, არავინ უნ-



და დაესაჯოთ და ამ ანარქისტებს და ქაოსის დამთევველებს, ქვეყნის მტრებს მივცეთ საშუალება, ქვეყანაში შემოიტანონ არეულობა.

ამას, რა თქმა უნდა, არ ვიზამთ. ამერიკაში, შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ასეული ადამიანი იქნა მხილველი, მრავალი ათეული წლით გაუშვეს ციხეში, ოთხი ადამიანი ადგილზე მოკლეს. ევროპის ქვეყნებში ხედავთ რაც ხდება, ევროპაში, როცა საქმე ეხება უსაფრთხოებას, სტაბილურობას, მანდ უკომპრომისო ზრდას მიდის. ჩვენთან ასე სუფთად ჩაატარა პოლიციამ ღონისძიება, არაფერი დაშავებულა რეალურად, მაქსიმალური სიფრთხილით მოვეკიდეთ და დღეს გვეუბნებიან, რომ თურმე „მოლოტოვის კოქტეილს“ რომ ისვრის ვიღაც ანარქისტი და ქვეშს რომ უშენებ პოლიციას, ამაზე უნდა დავხუჭოთ თვალი. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება და კანონი აღსრულება ყველას მიმართ. ეს უნდა იყოს, რა თქმა უნდა, დაფუნდებული მტკიცებულებებზე და არავის უსამართლოდ არ დაესაჯოთ, არ დაგვისჯა, არც არავინ დაისჯება. ეს მინდოდა მეთქვა. ჩვენ გვინდა ახლა დამშვიდება, საზოგადოებას სჭირდება მშვიდობა, სიწყნარე, მეტი სამუშაო ადგილები, მეტი კეთილდღეობა და ის სიკეთეები, რაც ჩამოვთვალე. ესაა ჩვენი მთავარი ამოცანა, მეტი პროექტის მშენებლობა და მეტი განვითარება...

ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობის“ პატრონებს არ უნდა შეეშინდეთ დაკავშირების!



...ექვსი შენობა, რასაც გავიზიარებთ. საქმე ეხება სწორედ ამ ექვსი რეკონსტრუქციის გადაგზავნას ვენეციის კომისიაში. დავულოდებით დამატებით დასკვნას, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, „დელოლიგანტიზაციის“ შესახებ კანონპროექტის შესწორებული რედაქციის ვენეციის კომისიაში

ხელმოწერა გაგზავნა საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, კანონპროექტს იგნისის ბოლომდე მიიღებენ. „მთლიანობაში ვენეციის კომისიის დასკვნა არის დადებითი და მათი პოზიციაა, რომ უნდა დაზუსტდეს ექვსი საკითხი, რომელიც არსებითად ტექნიკურია. ამაზე დამატებით დასკვნას დავულოდებით, იგნისის ბოლომდე კი, კანონპროექტს მივიღებთ. ეს კანონი უკრაინაში უკვე მოქმედებს და ძალიან მაღალი შეფასება მისცა ევროკომისიის პრეზიდენტმა. ვენეციის კომისიის დასკვნა დადებითია, მაგრამ იმისათვის, რომ არ იყოს გარკვეული ხარვეზები დაშვებული, მიგვითითებენ ექვსი საკითხის დაზუსტებაზე. ეს ტექნიკური საკითხებია და ტექნიკურად შეგვიფასებენ, რამდენად სწორად იქნება. არსებითად ამზობენ, რომ კანონი კარგია“, – განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, დავით კვებრაძე აღიარა, რომ პოლიტიკაზე არაფორმალური გავლენა აქვს.

„დელოლიგანტიზაცია ხომ არის მიზანი? – დემიინიზაცია თქვა რასამ, რომელიც ვინც არის, იცით, ხომ? სინამდვილეში, დელოლიგანტიზაცია ნიშნავს ქვეყნის გათავისუფლებას ოლიგარქიული გავლენებისგან, რაზეც საუბრობდა კვებრაძე და რაზეც აღიარებთ ჩვენც და დღეს, რაც მის ინტელექტზე მიუთითებს. კვებრაძე არის უინტელექტო ადამიანი, რომელსაც წამოცდნენ აქვს ხოლმე. მან აღიარა, რომ პოლიტიკაზე არაფორმალური გავლენა აქვს, „შავი ფულით“ ქართულ პოლიტიკას აფინანსებს და შესაბამისად, არის ოლიგარქი. კანონის მიღება საჭიროა იმისთვის, რომ რეაგირება მოხდეს. თუ მიზანია, დელოლიგანტიზაცია, „ნაცმოძრაობის“ პატრონებს არ უნდა შეეშინდეთ დეკლარაციის. ჩვენი ინიციატივა ამ კანონის მიღება არ იყო, თუმცა გვითხრეს, რომ საჭიროა ქართულ პოლიტიკაში ოლიგარქიზაციის აღმოფხვრა, დღეს მთავარი გაცხადებული ქეისია – კვებრაძე! სხვა შემთხვევებშიც არის, როცა ადგილი აქვს ოლიგარქიული გავლენის ქართულ პოლიტიკაზე, როცა შავი, სისხლიანი ფული იხარჯება. თუ ეს არის ამოცანა, მაშინ კანონი გვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირმა უნდა თქვას, რომ დელოლიგანტიზაცია არ არის ჩვენი ამოცანა და მაშინ, მოვხსნით ყველაფერს“...

9 აპრილს ოპოზიციის ყველა მიზინგი აკრძალეთ!



დალუპულებს პარლამენტის შენობის წინ, ეკლესიებში, დალუპულთა სახელობის სკვერებში. ეს დღე ჩვენი მოურჩენელი ტუვილისა და ამავე დროს სიხარულის დღეა, რადგან 9 აპრილის გმირების თანგანირვამ მნიშვნელოვანდ დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

9 აპრილს რომელიმე პარტიის ან პარტიათა ჯგუფის მიერ საკუთარი მიზნებისთვის რაიმე მითინგის თუ მსვლელობის ჩატარება არის 9 აპრილს დალუპულთა ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფა.

ყოველ 9 აპრილს ჩვენი ქვეყანა პატივს მიაგებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნისთვის დასჯილ თავის შვილებს. ჩვენს მოქალაქეებს მოაქვთ ყვავილები და სანთლებს უნთებენ დალუპულებს პარლამენტის შენობის წინ, ეკლესიებში, დალუპულთა სახელობის სკვერებში. ეს დღე ჩვენი მოურჩენელი ტუვილისა და ამავე დროს სიხარულის დღეა, რადგან 9 აპრილის გმირების თანგანირვამ მნიშვნელოვანდ დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

9 აპრილს რომელიმე პარტიის ან პარტიათა ჯგუფის მიერ საკუთარი მიზნებისთვის რაიმე მითინგის თუ მსვლელობის ჩატარება არის 9 აპრილს დალუპულთა ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფა.

9 აპრილის გმირები მოითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ამ მოთხოვნას შეეწირნენ. პარტიების ერთი ჯგუფი მოითხოვს საქართველომ შეასრულოს ევროპულთა ყველა მოთხოვნა, ე.ი. გავხდეთ მათზე მთლიანად დამოკიდებული, რითაც როგორც მინიმუმ, ილახება ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ჩრდილი ადგება 9 აპრილის გმირების თავგანწირვას.

პარტიების ამ ჯგუფის მტკიცებით ჩვენი ქვეყანა თუ ევროპაზე არ იქნება დამოკიდებული, იგი გადაიქცევა რუსეთის გუმბინად. ამ გაუნათლებელ, ე.წ. პოლიტიკოსებს, წარმოდგენაც რომ არ აქვთ ჩვენი ქვეყნის ინტენსივზე, ეკონომიკური განვითარების დონეზე, პერსპექტივაზე, ჩვენი მოქალაქეების ინტელექტსა და შრომითუნარიანობაზე, საერთოდ გამორიცხავენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ განვითარებას.

პარტიების ამ ჯგუფის მიზანია, ისე როგორც საქართველოს უძრავი ქონება, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა უცყიდონ და სხვა ქვეყნების კოლონიად გადააქციონ საქართველო. ჩვენს ხალხს ეცოდინება თუ ვინ დაუჭერს მხარს 9 აპრილს დალუპულ გმირთა ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფას.

ნუგზარ კობახიძე,

დამოუკიდებელი ექსპერტი პირობების მართვაში

კვებრაძე უპილოტო ავიაგამაფრენის დასრულებული არაპირს უპირს, რადგან არის სისხლიანი, კორუპციული ოლიგარქი, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს – ქვეყანაში ვითარება მაქსიმალურად არიოს, ამას წლებია ცდილობს და, რა თქმა უნდა, ამ მიზანს ვერ მიაღწევს. კვებრაძის მიზნებია იქიდანაც ჩანს, რომ მან „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილი აირჩია. მას სხვანაირ ადამიანებთან ურთიერთობა და სხვანაირი ადამიანების მართვა არ შეუძლია.

„ნაცმოძრაობას“ მაინც და მაინც ასეთი დევნილები უინტელექტო თავმჯდომარე უნდა ჰყოლოდა იმისთვის, რომ კვებრაძის მისი მართვა მოეხერხებინა. თვითონ კვებრაძე დევნილები და უინტელექტო ადამიანია, ეს არ არის სასაცილო, ეს ნამდვილად ასეა. ამ კაცის განცხადებები სამარცხვინოა, რადგან ყველამ იცის, რა მასშტაბის კორუპციული კაცია კვებრაძე. მან ფული რის ხარჯზე იშოვა? ეს იყო მიზნების რეკვიტი, პირველი და მთავარი დანაშაული. რამდენად სისტემური იყო მიზნების რეკვიტი, ეს ყველას ახსოვს. ის ჯერ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი იყო და შემდეგ მიზნების ძარცვა და რეკვიტი გააგრძელა არაფორმალური ოპოზიციიდან. მან ასევე გაძარცვა ქართული ჯარი და ამჟამად ძარცვავს ევროპულ პენსიონერებს. ის სამი მიმართულებით ფულს შოულობდა, რაც სამივე ერთმანეთზე სამარცხვინო ამბავია“, – განაცხადა კობახიძემ.

„ნაცმოძრაობას“ მაინც და მაინც ასეთი დევნილები უინტელექტო თავმჯდომარე უნდა ჰყოლოდა იმისთვის, რომ კვებრაძის მისი მართვა მოეხერხებინა. თვითონ კვებრაძე დევნილები და უინტელექტო ადამიანია, ეს არ არის სასაცილო, ეს ნამდვილად ასეა. ამ კაცის განცხადებები სამარცხვინოა, რადგან ყველამ იცის, რა მასშტაბის კორუპციული კაცია კვებრაძე. მან ფული რის ხარჯზე იშოვა? ეს იყო მიზნების რეკვიტი, პირველი და მთავარი დანაშაული. რამდენად სისტემური იყო მიზნების რეკვიტი, ეს ყველას ახსოვს. ის ჯერ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი იყო და შემდეგ მიზნების ძარცვა და რეკვიტი გააგრძელა არაფორმალური ოპოზიციიდან. მან ასევე გაძარცვა ქართული ჯარი და ამჟამად ძარცვავს ევროპულ პენსიონერებს. ის სამი მიმართულებით ფულს შოულობდა, რაც სამივე ერთმანეთზე სამარცხვინო ამბავია“, – განაცხადა კობახიძემ.

ენგურკესში სიფრული მმართველობის დანერგვა იწყება

სიფრული მმართველობის დანერგვის მიზნით, ენგურკესს ავსტრული კომპანია „ვერმუნდის“ წარმომადგენლები ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში უცხოელმა სპეციალისტებმა თაღვანი კაშხლის ტერიტორია დაათვალიერეს, არსებულ ნაგებობებს დეტალურად გაეცნენ და ორგანიზაციაში მოქმედი ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის დონის შესაფასებელი სამუშაოები ჩაატარეს.

ციფრული მმართველობის დანერგვისთვის საჭირო ტექნიკური დავალების გასაწერად, ავსტრული ექსპერტების ძირითად ამოცანას ენგურკესის საკონტროლო სისტემის შემოწმება და საოპერაციო სამსახურის წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაციის მიღება წარმოადგენს.

„კომპლექსური სამყაროში ციფრული ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვითარდება. ჩვენ კი ამ ინიციატივით საწარმოს მართვის პროცესს ვამართლებთ, რათა მოხდეს ყველა იმ რისკის გადაზღვევა, რაც აღამაზნურ ფაქტორზე და მოკიდებული ვართ. ვართ ამისა, დაგეგმილია ენერგეტიკული ბირჟის გაშვება. შესაბამისად, რეფორმების ამ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ იგაგრძელდება და რა სტრატეგიით წავა კომპანია. ამასთანავე, ის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ამინდის პროგნოზთან, ჰიდროლოგიასა და საწარმოო-ტექნიკურ მდგომარეობასთან, ციფრული მმართველობით გადაზღვეული იქნება“, – განაცხადა ენგურკესის კომერციული დირექტორმა ირაკლი შენგელიამ.

„ჰიდროლოგიკურ დაგეგმვაში მუშაობის გამოცდილების კუთხით, ჩვენი ორგანიზაცია ევროპაში ერთ-ერთი წამყვანია. მოხარულე ვართ, რომ ენგურკესის საოპერაციო

ტექნოლოგიების შეფასების მიზნით სწორედ ჩვენ მოგვიწვიეს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ უნდა გავცეთ რეკომენდაციები, რომლებიც ჰესის უფრო ეფექტური ფუნქციონირებისთვის არის მნიშვნელოვანი. ჩვენ ვმუშაობთ ქართულ კომპანია „იუჯითისთან“ ერთად, რომელთა მოწვევითაც აქ ვიმყოფებით. ამ ვიზიტის მიზანია საოპერაციო სისტემის პერსონალთან გასაუბრება, რათა მივიღოთ ყვე-



ლა ის ინფორმაცია თუ ცოდნა, რაც სიტუაციის შეფასებისთვის გვჭირდება. აქ პირველად ვართ და ვხედავ, რომ ეს არის ძალიან დიდი საწარმო, რომელიც მონიტორინგის სისტემის სრულ პაკეტს მოითხოვს და ამ პროცესში ძალიან მეტრი ტექნიკური ალტერნატივაა ჩართული“, – განაცხადა ავსტრული კომპანია „ვერმუნდის“ საკონსულტაციო და მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვილფრიდ რაიხმა.

„ეს პროექტი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. პირველი რიგში, ეს არის ენგურკესში ინფორმაციული ტექნოლოგიების დონის შეფასება. კერძოდ, რა დონეზე და რა სახის ტექნოლოგიები აქ გამოყენებულია, რამდენად პასუხობს ის თანამედროვე მოთხოვნებს, რა შესაძლებლობა გვაქვს იმისა, რომ გამოვიყ-

ნოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, რომ მართვა უფრო ეფექტური გახდეს და წარმოების ხარისხი გააუმჯობესოს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მონაცემების მიღება სხვადასხვა სენსორიდან ეფექტურად და სწრაფად მოხდება, შესაბამისად, რეაგირების ხარისხი და დრო გაუმჯობესდება. ეს კი ელექტროენერჯის გამოშვებაზე პირდაპირ აისახება და რაც მთავარია, საშუალებას მოგვცემს, გრძელვადიანად დავეგეგმოთ სარემონტო სამუშაოები, სწრაფად მივიღოთ ინფორმაცია, რამე პრობლემა ხომ არ აქვს რომელიმე დანადგარს და ა.შ. ვინაიდან ენგურკესი მზარდვით ვასვლას აპირებს, ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია დავეგეგმოს და ანალიტიკის ნაწილი“, – განაცხადა ტენდერი გამარჯვებული კომპანია „იუჯითის“ ბონეს განვითარების დირექტორმა ზურაბ მაღრაძემ.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბერში გამოცხადდა ტენდერი, რომელიც ენგურკესის ციფრული მმართველობაზე გადასვლას ითვალისწინებდა. ეს ინიციატივა მოიცავს 3 ეტაპს: 1. არსებული სიტუაციის აუდიტი, ანალიზი და ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა, 2. შესაბამისი მოწყობილობებთან ერთად პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და 3. ციფრული მმართველობის დანერგვა.

ტენდერში გაიმარჯვა შპს „იუჯითი“, რომლის ქვეკონტრაქტორიც არის ავსტრიული კომპანია „ვერმუნდი“ (მისი 51%-ის მფლობელია ავსტრიის სახელმწიფო). სწორედ ამ პროექტის პირველი ეტაპის განხორციელების მიზნით ჩამოვიდნენ ავსტრიელი ექსპერტები საქართველოში. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში სამუშაო დაგეგმობით ხასიათის შეხვედრა გაიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველ მოადგილესთან, რომელმაც მიიღო მადლობის თანხები. უცხოელი სპეციალისტები აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფელ საბურთოშიც იმყოფებოდნენ.

პენსიების კალსტრის პროგრამა – დასავლეთ საქართველოში



პენსიების კალსტრის პროგრამა წელს დასავლეთ საქართველოში განხორციელდება. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ვაჭარაძემ და სააგენტოს მევენახეობის მარეგულირებელი სამმართველოს უფროსმა დავით მაღრაძემ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შეხვედრა გამართეს.

ვენახეობის კალსტრი გულისხმობს დეტალური ინფორმაციის შეგროვებას მევენახეების, ღვინის მწარმოებლებისა და ვენახების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულად და გამჭვირვალედ ჩატარებას, ასევე ყურძნისეული პროდუქტების მიკვლევა-ლომას. პროგრამა უკვე დასრულდა ვახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, სადაც ჯამში აღწერილია 45 312 ჰა ფართობის ვენახები, წელს კი სრულად მოიცავს საქართველოს მევენახეობის რეგიონებს. შეხვედრას ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები.

პროკაში ყველაზე ბრძელი ზიპლაინი – „პრინცის ბუდე“



პროკაში ყველაზე გრძელი ორზოლიანი ზიპლაინი ჩირუხის მთაზე მოწყობა. მასშტაბური პროექტის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და მშენებლობის ტენდერი უკვე გამოცხადდა. აჭარის ოფიანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, არანაკლებ 1 752 მეტრი სიგრძის ზიპლაინი „არწივის ბუდის“ დიზაინით აშენდება და პანორამული ხედი ხეობაზე ექნება. ზედა სადგური ზღვის დონიდან 2496 მეტრ სიმაღლეზე განთავსდება. ზიპლაინის ქვედა სადგურში ტურისტულ-ვიზიტორთა ცენტრი განთავსდება. საპროექტო არეალი დაახლოებით 3500 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. შენობაში კაფეტერია და ტერასა მოეწყობა. ორივე სადგურთან პარკინგი, ველო-სადგომები და შესაბამისი განათვები განთავსდება. ტენდერის პირობის მიხედვით, პროექტის ღირებულება 9 512 716 ლარს შეადგენს. ზიპლაინის მშენებლობა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2024 წლის 2 ოქტომბრამდე განხორციელდება.

თითქმის ჯანდასჯის გარეშე

ცხინვალში აქიზის, წამლევისა და საპედისინო აღჭურვილობის დეფიციტი

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ჯანდაცვის სისტემა მიიმე მდგომარეობაშია, – ამის შესახებ ადგილობრივ ურნალისტებს დე ფაქტო რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი აგუნდა პლიევა ესაუბრა.

მისი თქმით, მედიკამენტების დეფიციტის გარდა, ადგილობრივ ჯანდაცვის დაწესებულებებში, სამედიცინო ტექნიკა ხშირად ან გაფუჭებულია, ან ხარვეზებით მუშაობს. აგუნდა პლიევამ სამედიცინო აღჭურვილობის რეესტრი შექმნა და უკვე იცის სად რას ფლობენ, რა არის გაფუჭებული და რა არ აქვთ საერთოდ.

მაგალითად, ცხინვალის რეგიონში რენტგენის აპარატი ორიოდე დაწესებულებას აქვს – 1 გამართულად მუშაობს, 1 ხარვეზებით, ერთი კი საერთოდ გაფუჭებულია. დე ფაქტო რესპუბლიკას არ შეუძლია არც ძველი აპარატურის შეკეთება და არც ახლის ყიდვა – ამისთვის საჭირო თანხები არ აქვს.

ოკუპირებულ რეგიონში საერთოდ არა აქვთ ფლუოროგრაფიის აპარატი, ამიტომ ცხინვალის მის შესაძენად დახმარებას რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს სთხოვს. მოსკოვმა დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. ბიუჯეტის დოტაცია 2023 წელს თითქმის ერთი მილიონი რუბლით შეამცირა. დე ფაქტო რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ყველაზე დიდი პრობლემა მაინც მედიკოსების დეფიციტია. ამის გამოა, რომ მედიკოს-

სონალს ერთდროულად რამდენიმე პოზიცია აქვთ შეთავსებული და მათ ვერ ათავისუფლებენ. რუსეთი ცხინვალს კატეგორიულად სთხოვს, რომ ე.წ. შემთავსებლების და საბიუჯეტო თანხების უყარათოდ ხარჯვის პრობლემა მოაგვაროს. აგუნდა პლიევა ამბობს, რომ შეუძლებელია ამ პრობლემის მოგვარება, რადგან ადგილზე მწვავე საკადრო დეფიციტია.

ცხინვალელები ადგილობრივ ჯანდაცვის სისტემას არ ენდობიან და ჯანდაცვის სერვისების მისაღებად ვისაც სად შეუძლია იქ მიემხურება – ან რუსეთში, ან თბილისში.

თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებში ცხინვალის რეგიონისთვის სპეც-

ალური, უფასო პროგრამა მოქმედებს. ახალი კორონავირუსის პანდემიის დროს ცხინვალის მთელი მოქალაქეები თითქმის ყოველდღიურად ვადმოდიოდნენ საპროკაში.

როგორც მამისაშვილი ცხინვალელია, ის ამჟამად საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში დევნილია მიმართულებებზე მუშაობს და არაერთ ცხინვალელ ნაცნობს და ახლობლებს დაეხმარა, თბილისში, სამედიცინო სერვისის მიღებაში.

„იქ, მიიმე მდგომარეობის გამო, ერთგვარ ტენდენციად იქცა, რომ ბოლო წლებში ცხინვალის თბილისში პაციენტები გადმოჰყავთ. ჯანდაცვის სამინისტროს რეფერალური პროგრამის ფარგლებში, იქიდან ჩამოყვანილ ად-



აკადემიკოს ავთანდილ არაბულს – აღიარებულ ენათმეცნიერს, მშობლიური ენის სიწმინდის განუხრელ დამცველს, მოქალაქეობრივი ღირსებებით აღჭურვილ პიროვნებას, გამორჩეულ კოლეგასა და მეგობარს – 70 წელი შეუსრულდა!

ავთანდილ არაბულს ქართველი საზოგადოება იცნობს როგორც ქართული საენათმეცნიერო სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, როგორც დარვის სანდო ექსპერტსა და სიახლეთა დაუცხრომელ მაძიებელ-მკვლევარს; მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის, ქართველურ ენათა შედარებითი პრობლემატიკის კვლევის, ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ასპექტების შესწავლისა და ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის მოვლისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის წლებში გამოჩინა თავი ავთანდილ არაბულმა როგორც ნიჭიერი და შრომისმოყვარე, მეცნიერული აზროვნებითა და ალღოთი, სამეცნიერო დიპლომებით დაჯილდოებულმა მკვლევარმა; იგი იმთავითვე მოექცა ისეთი ღვაწლმოსილი პროფესორების ყურადღების წრეში, როგორებიც იყვნენ ივანე იმნაიშვილი, ივანე ქავთარაძე, ირაკლი ვეშაპიძე და სხვ. მისმა ძიებებმა აღიარება მოიპოვა ჯერ კიდევ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მონაწილეობის დროს. ამას უშუალოდ მოჰყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაბარება და ინტენსიური პროფესიული წრეთაში ჩველი აკად. არნოლდ ჩიქობავას მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო პროგრამითა და პროფ. ივ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. საკვანძო სადისერტაციო შრომამ, რომელიც ცნობილია მონოგრაფიის სახით – „მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში“ (1984), ხარისხის დაცვის დროს მაღალი შეფასება დაიმსახურა არნ. ჩიქობავასა და უფროსი თაობის სხვა სპეციალისტების მიერ. ასპირანტობის დროიდანვე დაიწყო (სახელმწიფო უნივერსიტეტში) მან ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობა და ყველა სამეცნიერო თანამდებობრივი საფეხური განვლო, დაწყებული მეცნიერ-მუშაკობითა და დამთავრებული განყოფილების ხელმძღვანელობით. სამეცნიერო კვალიფიკაციის სრულყოფის შემდეგ საფეხური ისტორიულ-შედარებითი კვლევების მიმართულებით წარმართა. კერძოდ, სადოქტორო დისერტაცია შეეხებოდა ქართველური ენების ისტორიის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიცაა უძველესი ქართველური ლექსიკური მონაცემების გენეზისი, მზნური და სახელური სემანტიკის ძირ-ფუძეთა ურთიერთმიმართების, სიტყვაწარმოების უძველესი ფენების ანალიზი და ინტერპრეტაცია. ამ კვლევის შედეგები, მნიშვნელოვან თეორიულ სიახლეთა შემცველი, სამეცნიერო მიმოხილვაში ცნობილია მონოგრაფიის სახით: „მზნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“ (2001). საზოგადოდ, ქართველური ენებისა და ძველი ქართულის ენობრივი საკანონის კვლევა ა. არაბულისათვის ის სფეროა, რომელშიც განსაკუთრებულად იგრძნობა მისი სამეცნიერო ინტერესების ინტენსივობა და ქმედითობა. ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ლექსიკოლოგიური კვლევების გარდა, ავთანდილ არაბულს სამეცნიერო ინტერესები ნაყოფიერი აღმოჩნდა არაერთი სხვა მიმართულებით: ფონოლოგია და მორფოლოგია, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, ენის ნორმალიზაცია და სტილისტიკა...

ა. არაბული გახლავთ 200-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, მათ შორისაა წიგნები, ლექსიკონები, საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოები, სტატიები და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი ინ-

ტერინომული კვლევები ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური ამოცანების კოორდინაციით. მას არაერთი პუბლიკაცია ეკუთვნის როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ, სხვადასხვა დროს მისი ინტერესის სფეროში მოქცეულა ლიტერატურულ-ენობრივი მემკვიდრეობა ისეთი ავტორებისა, როგორებიც არიან: ილია ჭავჭავაძე, ავაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, ნ. მარათაშვილი, გრ. რობაქიძე, გ. ლენინიძე, გ. შატერვაშვილი, ანა კალანდაძე, მ. ლეზინიძე და სხვ. და ყოველი ამგვარი კვლევა ავტორისა არის შემცველი განსაკუთრებული სიახლისა, იმ ახლებური ასპექტების წარმოჩენა, რომელიც მანამდე ან შეუძნეველი იყო, ანაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ სიახლეების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ა. არაბულის ახლებური მიდგომები რუსთაველისა და მისი სამოღვაწეო ეპოქის ურთიერთმიმართების შესახებ („რუსთაველი და მისი პოემა“, 2016). ხოლო მისი წიგნი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მიოგრა-



ფი კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი, პროფესორი, ბოლოს კი ამ კათედრის გამგე. ამ შემთხვევაში კათედრის წინამორბედმა გამგემ, პროფ. ელენე ბაბუნაშვილმა თავად მოისურვა მემკვიდრეობითობა ასე გაგრძელებულიყო. ა. არაბულის ხელმძღვანელობით კათედრამ დაიწყო საენობრივი სასწავლო პროგრამების განახლება და კათედრის სრული ჩართულობით წამოიწყო ქართული ენის სრული აკადემიური კურსის პროექტი. ამავე დროს გამოქვეყნდა ა. არაბულის აღიარებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „ქართული მეტყველების კულტურა“ (2004).

მაგრამ სწორედ ამ დროს დაემთხვა სამედიცინო, ზემოდან ორგანიზებული ვოლუნტარისტული ცვლილებები დედაუნივერსიტეტში, რასაც უნივერსიტეტის დიდი სამჯოს ღირსეული ნაწილი მკვეთრად დაუპირისპირდა. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ გამოჰყავდათ პოლიციელებს ხელკავით უნივერსიტეტის სადარბაზო შესასვლელში ა. არაბული და ამას „გამარჯვებუ-

ნების სიმბოქსით გაპორჩიული მეცნიერი, მუოპოლოური ენის სინჰონდის მსპეალი

ფიის შესახებ, „მარადელი თანამედროვე“ (2021), შეიძლება ითქვას, თავისი სიახლითა და ორიგინალურობით თავის ადგილს იკავებს იმ ერთ-ერთ გამოკვლევებს შორის, რომელთაც ახალი საფეხური შექმნეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით.

ავთანდილ არაბულმა თავისი კვლევებით სათანადო პატივი მიაგო ქართველოლოგიის ღირსეულ წარმომადგენლებს, თავის შრომულ და უშუალო მოძღვრებს, ამისი დასტურება მისი საფუძვლიანი ნარკვევები ისეთ მეცნიერთა თეორიული მემკვიდრეობის შესახებ, როგორებიცაა: ავაკი მანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ივანე იმნაიშვილი, ალექსი ჭინჭარაული, მშექალა შანიძე და სხვ. მან ღირსეულად მოიხადა ვალი დედაუნივერსიტეტის იმ (ახალი ქართული ენის) კათედრის წინამძღვრ. რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა მანამ, როდესაც უნივერსიტეტს ე.წ. რეფორმა დაატყდა თავის კერძოდ, ელ. ბაბუნაშვილთან ერთად შექმნა და გამოსცა ამ კათედრის ნაყოფიერი მოღვაწეობის ისტორია.

ავთანდილ არაბულის მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტებს შორის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში. თვით მაგისტრმა მიხილ ჭამაშვილმა, ქართული ლექსიკოგრაფიის „ახალი სულხან-საბაძე“, მოიწადინა, რომ მისი, როგორც განყოფილების გამგის, შემცველი ა. არაბული ყოფილიყო და ინსტიტუტის დირექტორის, აკად. ქეთევან ლომთათიძის გადაწყვეტილებით მაშინ ახალგაზრდა მეცნიერი გადაიყვანეს ამ ძლიერი და ავტორიტეტული განყოფილების სამუშაოთა ორგანიზებისათვის. ა. არაბულს უპირველესად ჩააბარეს ქართველოლოგიის განსაკუთრებული ამოცანის - ქართული ენის ისტორიულ-ლექსიკოლოგიური ლექსიკონის სამუშაოების წარმართვა. ამ სამეცნიერო პროექტმა მოკლე ხანში მართლაც სასურველი დინამიკა შეიძინა, მაგრამ გარკვეულ ცვლილებათა ეტაპზე ეს წამოწყება მიზანმიმართულად ჩაშალეს. ამიტომაც პირველ პლანზე გადაიზარდა მეორე გეგმაც: ამ – ეს იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქცია. ქართული პოლიგლენტოგანი სახელმწიფო ენისა და, საზოგადოდ, ქართველოლოგიის განვითარების ახალი ეტაპი ვარაუდობდა მითხოვდა იმ საფუძვლების ახლებურ მომზადებას, რომელთაც მეოცე საუკუნის შუა წლებში დაეფუძნა ენობრივი მემკვიდრეობისა და განათლების განვითარება. ამიტომაც შეფასდა იმ დროს აკად. არნოლდ ჩიქობავას თაოსნობით გამოცემული რედაქციული „ქართული ენ-

ის განმარტებითი ლექსიკონი“ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი ძეგლი ქართული ენისა და კულტურის ისტორიაში.

ნახევარი საუკუნე გასულიყო მ-ტომეულის გამოსვლიდან და სახელმწიფო ენის განვითარების ახალი მასშტაბები განდრავდა მითხოვდა ამ ამოცანის შესრულებას. მაგრამ ადგილი არ იყო მაშინ იმ აზრის გათავისება, რასაც ახალი ხელმძღვანელი ამკვიდრებდა, მეტიც, იგივე ძალები დღესაც წარმსატყობს ახერხებენ ხელის შემშლას ამ მიმართულებით...

ა. არაბულისა და მისი მცირერიცხოვანი თანამოაზრეების თავდადებით ეს საქმე საკმაოდ წარმატებით წარმართა და ლექსიკონის ფუნდამენტურად განახლებული ახალი რედაქციის უკვე ოთხი ტომის გამოცემით ქართველმა საზოგადოებამ ნათლად დაინახა, თუ რაოდენ აქტუალურია თანამედროვე ქართული ენის უმდიდრესი საგანძურის მოვლა-პატრონობა. მხოლოდ სტატისტიკაც კი მეტყველებს ამას: მაშინდელ მ-ტომეულს 70-ზე მეტ კალმოსნის ნაწილები ასაზრდოებდა, ახალ რედაქციაში საილუსტრაციო მწერალთა რიცხვი 700-ს აღწერდა. საკვლისხმო წინასიტყვით მიაჩნდა ახალი რედაქციის პირველი ტომი საზოგადოებას მისმა მთავარმა რედაქტორმა: „ქართული ლექსიკონი ვალში იყო დიდი ქართული მწერლობის წინაშე და ახლა ამ ვალს ისტუმრებს“. ეს სიტყვები მართლაც განსაკუთრებულ დაფასებას გამოხატავს ქართული მწერლობისადმი, იმდენად, რომ ავტორს ამის გამოხატვითად „ვალის“ დამძიმება კი გადაუწყვეტია. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ არა მხოლოდ ფართომასშტაბიანი სამეცნიერო სამუშაო, არამედ დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმე და ნიშანდობლივია, რომ ამ გამოცემის პირველივე ტომის პრეზენტაციას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაესწრო და მთავარ რედაქტორს ოქროს ჯვარი უბოძა. ა. არაბულისავე დამსახურება ის, რომ დღეს ფართო მომხმარებელს სრულად მიუწვდება ხელი განმარტებითი ლექსიკონის როგორც ძველ, ისე ახალ ვერსიებზე ასევე მიუძღვის მას წვლილი არაერთი სხვა ლექსიკოლოგიური სამუშაოს დაგეგმვასა და წარმართვაში.

ავთანდილ არაბული თავისი მოღვაწეობის განმავლობაში აქტიურად უხამებდა ერთმანეთს სამეცნიერო გამოცდილებასა და პედაგოგიურ პრაქტიკას. სხვადასხვა დროს

ლი ხალხის ტელევიზია“ მამი ხშირად იმეორებდა, როგორც ჩანს, პროფესორის დასაშინებლად. შემდეგ, უთუოდ, მიხვდნენ, რომ საზოგადოების თვალში ამას საპირისპირო ეფექტი ჰქონდა და კადრიც გადაშალეს. რაც მთავარია, ა. არაბული და სხვა „შეთქმნებში“ სასამართლოს გადასცეს, მაგრამ ეს „დადგმული“ სასამართლოც ხელისუფლების პოლიტიკის საშიხლად გადაიქცა...

სწორედ ამ დროს მიუძღვნა მას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩინებულმა უურნალობამ და მოქალაქემ, ცხოვრებულმა რომერტ ძერიაშვილმა ნარკვევი – „ჭიუტი ჯუთელი“. ერთი სიტყვით, ა. არაბულს ყოველთვის ეკავა ღირსეული სამოქალაქო პოზიცია და მოლოდინ იმდენად როგორც უნივერსიტეტის იდეის, ისე ქართული სამეცნიერო სისტემისა და მისი მემკვიდრეობის დასაცავად. ამ მიმართულებით მას ასევე არ დაუკლია მცდელობა ახალი ხელისუფლების პირობებში და ფაქტობრივ ყველა წინაპირობა მოამზადა იმისათვის, რომ სამეცნიერო სისტემის რეაბილიტაცია დაწყებულიყო. მხოლოდ პოლიტიკური ნება აღმოჩნდა უკმარი სასურველი გადაწყვეტილებათათვის... რაც შეეხება ა. არაბულის პედაგოგიურ მოღვაწეობას, იგი სხვადასხვა დროს ასევე ასწავლიდა უცხო ენათა ინსტიტუტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სადაც გრ. ფარულავასთან ერთად ჩაუყარა საფუძველი ფილოლოგიის კათედრას. თუმცა, იმ ხელისუფლების პირობებში არც ამ გეგმებს აღმოაჩნდა კეთილი გავრძელება... 2009 წლიდან დღემდე იგი ძველ ქართულს ასწავლიდა თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც განათლების სამკოურმა სისტემამ რღვევა დაიწყო და ეროვნული სკოლის წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დაისახა, ავთანდილ არაბული ერთ-ერთი პიროვნება იყო იმ პროფესიონალთაგან, ვინც საკუთარ მოვალეობად მიიჩნია ამ პროცესში მონაწილეობის მიღება. სწორედ მას ეკუთვნის თანამედროვე ეროვნულ სკოლაში ქართული ენის სწავლების ახალი კონცეფცია და, ასევე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სკოლის უზრუნველყოფის საქმეში, მისი ავტორობითა და ვ. როდონიასა და სხვებთან თანავეტროობით ქართული ენისა და ლიტერატურის ორ ათეულამდე სახელმძღვანელო ფუნქციონირებს თანამედროვე ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. მეორე მხრივ, მან განსაკუთრე-

ბული როლი შეასრულა იმაში, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ეროვნულ სკოლას დაჰპრეზენტებოდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით იმუშავა ექსპერტთა იმ ჯგუფმა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის განკარგულებით შეიქმნა და რომელმაც არსებითად პირველად მოამზადა ეროვნული სკოლისათვის მრავალგზის დამახინჯებული „დედაენის“ ავთენტიკური სავტორო ვერსია.

მეცნიერთა და პედაგოგთა ფართო წრეებში ა. არაბულს იცნობენ როგორც ქართული სახელმწიფო ენის განვითარებისა და ფუნქციონირების საკითხების მაღალკვალიფიციურ ექსპერტს. სახელმწიფო ენის განვითარებისა და ფუნქციონირების პრობლემატიკის განხილვის თვალსაზრისით სანიშნოა მისი წიგნი „ენა ჩვენი არსობისა“, რომელიც ეროვნული ენის თანამედროვე არსებობის არაერთ პრობლემურ ასპექტს შეეხება. ა. არაბულმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფო ენის საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფის, მისი საკონსტიტუციო სტატუსის დაცვის საქმეში, კერძოდ, მისი აქტიური მონაწილეობით იქნა მიღებული სახელმწიფო ენის კანონი 2015 წელს. ასევე მიუძღვის მას წვლილი უნიშვნელოვანესი ეროვნული ნომინაციის – „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ – მომზადების საქმეში, რომელსაც იუნესკომ 2016 წელს საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

უთუოდ გამოჩნეულია ა. არაბული როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის შესაძლებლობები. წლების განმავლობაში იგი, როგორც ითქვამს, სათავეში ედგა ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და მის სხვადასხვა სტრუქტურას, იყო ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, სამეცნიერო სამჭოს თავმჯდომარე, ეკავა დირექტორის მოადგილისა და დირექტორის თანამდებობები, იყო არაერთი წარმატებული სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი; წარმატებით ხელმძღვანელობდა ცალკეულ ასპირანტებს, დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს...

სრულიად განსაკუთრებული აღმოჩნდა მეცნიერის ბიოგრაფიაში 2009 წელი, როდესაც იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხუთიოდე წელიწადში კი ა. არაბული აკადემიის წევრი გახდა. 2013-14 წლებში იგი ასრულებდა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას. აკადემიაში არჩევისთანავე აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტის“ ხელმძღვანელმა აკად. თამაზ გამყრელიძემ იგი მიიწვია „ქართული ენის თესაურუსის (ისტორიული ლექსიკონის)“ პროექტში და არსებითად მიანდო ამ სამუშაოების საორგანიზაციო საქმე. დღეს ა. არაბული წარმატებით ხელმძღვანელობს ამ კომიტეტს და ჩვეულებრივ ენერჯით უძღვეს როგორც რუსთაველის უკვდავი პოემის ტექსტის შესწავლის, ისე აღნიშნული მასშტაბური სალექსიკონო სამუშაოების რეალიზაციის საქმეს. იგი ამავე დროს მრძანდება თავმჯდომარე მეცნიერებათა აკადემიისთან არსებული საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიისა, რომლის მუშაობის შედეგად არის „მთის კანონის“ შექმნა და მუდმივი თანამშრომლობა სახელისუფლებო სტრუქტურებთან ამ კანონის აღსრულებისათვის.

ამ ერთგვარი აკადემიური დახასიათების დასასრულს ხაზი უნდა გაესვას მეცნიერის სამაგალიტო პროფესიულ თვისებებს – კეთილშობილებას, თავმდაბლობას, ერთგულებას, მაღალზნეობრიობას, კაცობიერებასა და მაღალ ინტელექტს. მისთვის, როგორც პიროვნებისათვის, სრულად უცხოა თავმოთენობა და, მით უფრო, ამპარტავენება, მაგრამ ყოველთვის ადღენს ნების იმიტიციას, როგორც კი საკითხი პრინციპებსა და ფასეულობებს შეეხება... გულითადად ვულოცავთ გმირ ავთანდილს ამ სათუთრობო მარტო, მასურავთ პანონოლოგიას, მხნოვას, ოჯახურ ზედწინააღმდეგობას, მომავალი შემოქმედებითი გეგმების წარმატებით აღსრულებას!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ხელნაწერები ლიბანიდან

თაა წულუკიანმა ხელნაწერები სახელმწიფო ორგანიზაციას გადასცა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თაა წულუკიანმა სამინისტროს მიერ ლიბანში წარგზავნილი სამეცნიერო ექსპედიციის მიერ საქართველოში ჩამოტანილი ქართული ხელნაწერები საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, საქართველოს ეროვნულ არქივს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ მიმლითოეკასა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა.

სამეცნიერო ექსპედიციის წევრები იყვნენ: საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი ნანა მირაშვილი და აღმოსავლეთმცოდნე თამარ დემეტრაშვილი.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ლიბანში, ქალაქ საიდასთან მდებარე მაცხოვრის მონასტრის (ORDRE BASILIEN DU SAINT-SAUVEUR) მიმლითოეკაში კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის მუშაობის შედეგად, საქართველოს გადამოყვით ქართული ხელნაწერთა ციფრული ვერსია.

„მე-18 საუკუნით დათარიღებული ეს ხელნაწერები ლიტურგიული ხასიათისაა. ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა სასულიერო პირმა და მეც-



ნიერმა შალვა ვარდიძემ შეისწავლა, დანაწილი სამის არსებობა კი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის საერთოდ უცნობი იყო.

საქართველოში ჩამოტანილი სამეცნიერო წიგნებისთვის ხელმისაწვდომი ხდება და, ამგვარად, მეცნიერებაში დაინერგება ახალი საკვლევი მასალა. მონაპოვარი უაღრესად საყურადღებოა ეროვნული თვალსაზრისით – მას აქვს იმგვარი კულტურულ-რელიგიური ღირებულება, რომელიც ადასტურებს საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის უძველეს კულტურულ და სასულიერო კონტაქტებს.

ლიბანში ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის; გამოკვლევები მათ დაეხმარება სათანადოდ შეაფასონ და გააანალიზონ საქართველოს როლი ლიბანისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. ლიბანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის მონაცემებით ისარგებლებენ, პირველ რიგში, უმაღლესი სასწავლებლები, ჰუმანიტარული მიმართულების სამეცნიერო დარგთა წარმომადგენლები, განსაკუთრებით ისტორიკოსები, ასევე ფილოლოგები, ახალი და უახლესი ისტორიით დაინტე-

რესებული მკვლევრები და კულტურალოგები.

პროექტის შედეგები ღირებული და მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიული კავშირების კვლევის თვალსაზრისით, არამედ ქართველოლოგიის, მიზანტინოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებისათვის, – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს ინფორმაციაში.

ხელნაწერთა გადაცემის ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი ვია ვოლსკი, საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალადაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული მიმლითოეკის სამილითოეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თავთაქიშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ფონდების დაცვის დეპარტამენტის უფროსი თამარ აშულაძე, საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი სოფროშაძე, მეცნიერები ნანა მირაშვილი და თამარ დემეტრაშვილი.

ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ მუზეუმთა ჯგუფს (შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ეროვნული გალერეა, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) ახალი მუზეუმი შეემატა, რომელიც საფრანგეთში, საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიაზე არსებული ლევილის მამულის მახაზე ჩამოყალიბდა და მას ლევილის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი ეწოდა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული მუზეუმი ავრცელებს. მოცემული ცვლილების შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება 2023 წლის 8 მარტს გამოვიდა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ლევილის მამულის საქართველოსთვის დაბრუნების სანოტარო აქტის პირობების შესაბამისად, შატოს პირველ სართულზე დაგეგმილია ისტორიული სივრცის მოწყობა, რომლის ნაწილშიც განთავსდება ლევილის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი. შატოს მეორე სართულზე კი მოეწყობა ნოე უორდანიას კაბინეტი. გათვალისწინებულია მიმლითოეკა-მედიათეკის, საგამოფენო და სარეზიდენციო სივრცეების მოწყობაც.


ახალი მუზეუმისათვის შექმნილია კონცეფციის სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები არიან: ტიერი ბერიშვილი – ქართველ ხალხთან მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე, პირველი რესპუბლიკის კვლევის ცენტრის – ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიმლითოეკის თანამშრომელი; ლევან თავთაქიშვილი – საქართველოს პარლამენტის ეროვნული მიმლითოეკის დირექტორის მოადგილე; ირაკლი იაკობაშვილი – საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელი; თათარ ჯანელიძე – სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოლოგიისა და ისტორიის კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; ვახტანგ ცინცაძე – სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კოლექციების მართვის დეპარტამენტის თბილისის სექტორის ხელმძღვანელი; დიმიტრი სილაქაძე – სსიპ საქართველოს ეროვნული არქი-

ვის სამეცნიერო განყოფილების სპეციალისტი; სტივენ ჯონსი – პროფესორი, ისტორიკოსი, საქართველოს თანამედროვე ისტორიის, ქართული სოციალ-დემოკრატიისა და პირველი რესპუბლიკის სპეციალისტი; კრისტინ ფადაგა-მულე – ნოე უორდანიას სახელობის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი, ნოე უორდანიას მემორიალური;

2021 წლიდან დღემდე, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ლევილის მამულში განახორციელა მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ: დასრულდა ლევილის მამულის (4 ჰა) გალანის ისტორიული ნაწილის რესტავრაცია-კონსერვაცია და ლევილის მამულის გუშაგის სახლის (რომელშიც დიდხანს ცხოვრობდა ემიგრანტი ქალბატონი ნამეტია გოგუაძე) სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაიწყო და გრძელდება ლევილის მამულის შატოს აღდგენა და კეთილმოწყობა, შეკეთდა სხვენის სახურავი, ჩატარდა ინვენტარიზაცია.

ამჟამად მიმდინარეობს ლევილის მამულის შატოს კონსტრუქციების სიმყარის კვლევა, მზადდება გამოკვლების პროექტი და შატოს ამბესტისგან გაწმენდის, მისი სხვენისა და სახურავის სრული რეაბილიტაციისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები.

ლევილის მამულში განთავსდება ქართული ოდასახლი, რომლის პროექტის ავტორია არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპარაძე. ოდასახლში მოეწყობა დანაბაზული სივრცე კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, გაიხსნება ქართული ტრადიციული სუვენირების მაღაზია. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თაა წულუკიანისა და საქართველოს განვითარების თანამშრომლობით მოძიებულია ოდისთვის საჭირო ხის მასალა, რომლის შრომის დასრულებისთანავე დაიწყება მისი დამუშავება. 2023 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, ლევილის მამულში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიების გამართვა. ლევილის მამულის სრული რეაბილიტაცია, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, 2026 წლის სექტემბერში უნდა დასრულდეს.



შეზღოვების ტენდერის
No. SRAMP/CW
/NCB-20 შესახებ

პროექტის დასახელება: შიდასახე-
 ლმწიფობის გზების აქტივების მართვის
 პროექტი (SRAMP) - P149953

კვეყანა: საქართველო
პროექტის განმახორციელებელი უწყება:
 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
 ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო
 გზების დეპარტამენტი

ტენდერის N: SRAMP/CW/NCB-20;
 DEP220000057

კონტრაქტის დასახელება: საჯავახო-
 ჩოხატაური-ოზურგეთი-კობულეთის
 საავტომობილო გზის კმ0+000 - კმ7+200
 სარეაბილიტაციო სამუშაოები

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 7 თვე

შეფასებული მონაწილეები:
დასახელება: PALADA LLC
 ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ფასი:
 14,145,330.75 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
 შეფასებული ფასი: 13,471,743.57 ლარი

დასახელება: New Road LLC
 ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ფასი:
 12,459,720.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
 შეფასებული ფასი: 11,866,400.00 ლარი

დისკვალიფიცირებული მონაწილე:
დასახელება: Geoinvesti LLC
 ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ფასი:
 13,857,802.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
 დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო დოკუმენტაციის
 11.1 მუხლთან შეუსაბამობა

გადაწყვეტილება: ტენდერი ჩაიშალა სატენდერო
 დოკუმენტაციის 38.1 მუხლისა და მსოფლიო ბანკის
 შესყიდვების სახელმძღვანელოს 2.61 პარაგრაფის
 შესაბამისად.

NOTIFICATION
OF AWARD FOR BID
NO. SRAMP
/CW/NCB-20

Project Name: Secondary Road Asset Management
 Project (SRAMP) - P149953

Country: Georgia

The project implementing Agency: Roads
 Department of the Ministry of Regional De-
 velopment and Infrastructure of Georgia

Bid/Contract Reference No: SRAMP/CW/
 NCB-20; DEP220000057

Scope of Contract: Rehabilitation of
 Sajavakho – Chokhatauri – Ozurgeti - Kobuleti
 Road Section from km0+000 to km7+200

Duration of Contract: 7 months

Evaluation Currency: Georgian Lari

Evaluated Bidder(s):
 Name: **PALADA LLC**
 Electronically Submitted Bid Price: GEL 14,145,330.75
 (including VAT)
 Evaluated bid price: GEL 13,471,743.57

Name: **New Road LLC**
 Electronically Submitted Bid Price: GEL 12,459,720.00
 (including VAT)
 Evaluated bid price: GEL 11,866,400.00

Rejected Bidder:
 Name: **Geoinvesti LLC**
 Electronically Submitted Bid Price: GEL 13,857,802.00
 Reason for rejection: Non-responsive

Awarded Bidder – N/A

Decision: Rejection of all bids in compliance with sub-
 clause 38.1 of the Bidding documents and Paragraph 2.61
 of World Bank Procurement Guidelines.

მოწვევა ინტერესის გამოხატად
(განცხადებების წარმოდგენის ვადის გაგრძელება)

საქართველო
 აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომარშრუტის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების
 პროექტი
სესხის № 3715-GEO

დავალების სახელწოდება: საჯავახო უსაფრთხოების ადგილობრივი კონსულტანტი (საჯავახო
 უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა გენდერული თავისებურების გათვა-
 ლისწინებით)

საიდენტიფიკაციო # KUPR/CS/CQS-01

საქართველოში ახლის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ- დასავლეთის ჩქაროსნული
 ავტომარშრუტის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის განხორციელებისთვის. აღნიშნული დაფინანსების
 გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონ-
 სულტაციო მომსახურების ხარჯების ასანახად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საკვეთსა და დასავლეთ-
 საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს/ორ-
 განიზაციებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოხატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **საჯავახო უსაფრ-
 თხოების ადგილობრივი კონსულტანტი (საჯავახო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა გენდერ-
 ული თავისებურების გათვალისწინებით).**

დავალების მიზანი: კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება რომ დაგეგმოს და განახორციელოს საბაზისო
 კვლევა/ები, საჯავახო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამები და განსაზღვროს მასთან დაკავშირე-
 ბული ინფორმაციული მასალების, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები, იმ თემისთვის რომელიც მოქ-
 ეუვლია ახლის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომარშრუტის (ხევი
 - უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების და აღმოსავლეთ- დასავლეთის ავტომარშრუტის (შორაპანი - არგვეთას
 მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტების ფარგლებში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: საკონსულტაციო კომპანიის/ორგანიზაციის უნდა ქონდეს შემდეგში კვალი-
 ფიკაცია:

- სასურველია 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება საჯავახო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლებისა და
 შესაძლებლობების განვითარების კამპანიების ჩატარებაში ცალკეული თემების დონეზე;
 - მინიმუმ 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება სოციალურ - ეკონომიკური კვლევების ველზე ჩატარებაში,
 სასურველია ტრანსპორტის სექტორში;
 - მასალებისა და ანგარიშების გამოქვეყნების დადასტურებული გამოცდილება შესაბამისი პერსონალის,
 მატერიალური ბაზის და ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა კვლევების, ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების
 კამპანიების განსახორციელებლად;
 - სპეციალიზირებული გამოცდილება კვლევის მონაცემთა ანალიზში, იმ თვისებების და რაოდენობრივი
 მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ამ კვლევაში იქნება გამოყენებული, კერძოდ: გამოკითხვები, სიდრმისეული
 ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები, და
 - განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალური ანგარიშების მომზადების გამოცდილება.
- დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

შერჩევა განხორციელდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევის მეთოდის გამოყენებით ახლის
 განვითარების ბანკის შესყიდვების რეგულაციების თანახმად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: [https://
 www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf](https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf)

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე ახლის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის
 გამოყენებით:
https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186414

დაინტერესებულ კომპანიებს ინტერესის გამოხატვა შეუძლიათ მოცემული ბმულის მეშვეობით **2023 წლის 10
 აპრილამდე.**

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST
(Extension of application submission deadline)

Georgia
 East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project Project Loan. **3715-GEO**
Name of the Assignment: National Road Safety Consultant (Gender Sensitive Roads Safety Awareness Program)
Contract/RFP No: KUPR/CS/CQS-01

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **East-West Highway
 (Khevi-Ubisa Section) Improvement Project** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods,
 civil works and consulting services under the Project.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now
 invites eligible consulting companies/organizations (here and after "Consultants") to express their interest in
 providing the following services: **National Road Safety Consultant (Gender Sensitive Roads Safety Awareness Program).**

The objective of the assignment: The Consultant will be responsible for the development and conduct of the
 baseline study/ies, awareness raising programs, information materials, assessment, and monitoring tools related to
 the community road safety awareness raising program/s for the communities under the ADB financed East- West
 Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project and East-West Highway (Shorapani-Argveta Road) Improve-
 ment Project.

Qualification Requirements: Consulting Organization/Firm having the below listed qualification are
 encouraged to participate:

- preferably with 5 years of relevant experience in conducting road safety awareness raising and capacity
 building campaigns on community level;
- minimum of 5 years of relevant practical field experience in conducting socio- economic surveys, preferably
 in transport sector;
- demonstrated capacity in publishing materials and reports;
- availability of relevant personnel, facilities and tools to carry out the research, capacity building, trainings
 and awareness raising campaigns;
- highly specialized expertise in application and data analysis of the qualitative and quantitative methods that
 will be included in this research, namely: surveys, in-depth interviews and focus group discussions; and
- experience of developing detailed reports on implemented activities. Duration of the assignment is 12 months.

Selection will be done according to the recruitment of consultant qualification method provided in Pro-
 curement Regulations for ADB Borrowers (available at [https://www.adb.org/sites/default/files/
 procurement-regulations-adb-borrowers.pdf](https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf))

Expressions of Interest (EOIs) will be submitted in the English language by means of the ADB web-page: [https://
 /selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186414](https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186414)

Interested companies shall follow the link to participate in the selection not later than **April 10, 2023.**

მისაბაიუს, ღამაფიქრებულის



იტალიის ჩემპიონატის ფინალში ათი ტურით აღწე პენინის ქართული დღეგაცაია ეწვია და ვიდრე ნაპოლის მორიგ შეხვედრას დაესწრებოდა, უმნიშვნელოვანესი მისია შესრულდა. სანამ სპორტის მსოფლიო-ტურის მარტის თვის სერია - ა-ს საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზის გადაცემასა და მისი კლუბის უმძიმეს მარცხზე ვისაუბრებდით, სამალარჩო ფაქტზე შეგერდით, რომელიც, დანაშაულებული ვართ, დიდ იმპულსს მისცემს რევიონებში ნორჩი თაობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაოსტატების შეუქცევად პროცესს.

საუბარია, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ტურნის იუვენტუსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას (გია ხარჩილაძე, თამარ მელიქიანი) შორის დაწყებულ თანამშრომლობაზე, რომლის სულსხამდგმელი მამუკა ხაზარაძეა. დიას, თუნდაც ანაკლიის ღრმანწყლოვანი სტრატეგიული პორტის მშენებლობის ჩაფლავებული პროექტისგან განსხვავებით, თიბისი ბანკის დამფუძნებელმა ერთი წლის წინათ დადებული პირობა შეასრულა, მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა და მხარეები ერთმანეთთან დააკავშირა.

მომავლის პერსპექტიული ხედვით გათვალისწინებულია 6-დან 14 წლამდე ასაკის ნიჭიერ ქართველ მოზარდთა შერჩევა, რომლის პირველი ეტაპიც უკვე განხორციელდა, და მათი სტაჟირებაზე მიწვევა მეზობრი ქალბატონის ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურით გამოჩნეულ აკა-

დემიაში. ტიტულოვანი გრანდის ემისრებმა არჩევანი წალენჯიხისა და ჯვარში სპორტის საყვარელ სახეობაში მოვარჯიშე 500-მდე ყმაწვილს შორის გააკეთეს. აღსანიშნავია, რომ ადგილი შესაძლებელია ის, რაც პოლიტიკოსთათვის სამი ათეული წლის განმავლობაში ჯერაც აუხდენელი ოცნებაა, ბურთმა შეასრულოს, რადგან, მოგეხსენებათ, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე იქიდან სულ რამდენიმე კილომეტრია და ვიმედოვნებთ იუვენს მაგია დედასამშობლოში დასადგინებლად გამოყოფ ზოლს მიღმა დარჩენილ ჩვენს მრავალ თანამემამულეს მოიზიდავს.

რაც შეეხება მარადონას სტადიონზე დატრიალებულ ღრამას, მას მიძგი პარტენოვის შეფების მიერ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩისთვის მიღებულმა ბილეთების გაძივების გადაწყვეტილებამ მისცა, მილანთან გენერალურ რეპეტიციაზე კი მასპინძელთა ულტრასმა ტიფოებმა პროტესტის ნიშნად ტრიბუნებზე უჩვეულო სიჩუმე და საპანაშიდე განწყობილება შექმნეს.

ოქროსთან მოლიცილიც ლუჩანო სპალეტის გუნდს არანაკლები პრობლემები შეუქმნა ტრავმირებული ოსიმენის არყოფნამ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მაშინ, როცა სეზონის სტარტზე ნიგერელი მომზარდირი ამავე მიზეზით ასევე აკლდა პარტენოვებს, კამპანილებმა შევიდევ მრძოლა მოიგეს.


მოკლედ, სტუმრებმა ყველა კომპონენტში დააჩოქეს ფაქტორი - 4:0 და მის ბუნებში უკვე ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს, ხოლო 21-ე საუკუნეში მსგავსი სხვაობით ნაპოლი შინ მეორედ შერცხვა 2001 წლის შემდეგ, როცა ბოლონიასთან განადგურდა - 1:5.

ჩვენ, ბუნებრივია, განსაკუთრებით კვარადონას თამაში გვაინტერესებდა და, მართალია, ამჯერად მან საკუთარ მონაგარს ვერაფერი შემატა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქტიურობდა და ექსპერტთაგან თანაკლებელთა შორის საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

რა თქმა უნდა, ეს დიდი ვერაფერი შეგება, მაგრამ ლომბარდიელებთან დამდეგი საევროპე ჯახის პრიზმაში ნამდვილად დადებითი ნიუანსია, თუმცა არც მრისხანე მეტოქის საფუძვლიანი ამბიციები გამოსარიცხავი. მართლაც, ღუმლის ავტორმა ლეაუმ და კამპანიამ ყველას დაუმტკიცეს, რომ ომისთვის მზად არიან.

დანარჩენი შედეგები: მონცა - ლაციო 0:2, იუვენტუსი - ვერონა 1:0, ინტერი - ფიორენტინა 0:1, რომა - სამპდორია 3:0.

ლიდერთა ჯგუფი: ნაპოლი - 71, ლაციო - 55, მილანი - 51, ინტერი, რომა - 50-50, ატალანტა - 48, იუვენტუსი - 44 ქულა. ამ უკანასკნელს, როგორც ვრცელდება ხმები, შესაძლებელია 15 ქულა დაუმზუნონ, მაგრამ ნაპოლის მიერ სკუდეტოს მოპოვებას მაინც ძნელი სავარაუდოა, რომ რაიმე დაემუქროს, მით უმეტეს 29-ე ტურის აფიშის გამო - ერთმანეთს ლაციო და იუვე ხვდებიან, ლიდერი კი ლეჩეს ეწვევა.



ზაზა ფაჩულია: „კვარა, შენით კალიან ამაყი ვარ“!

„ნაპოლისა“ და „მილანის“ მატჩის დაწყების 60მ-მდე CBS SPORT GOLAZO-ს ჟურნალისტებთან ზაზა ფაჩულია გამოჩნდა, რომელმაც ქართული შემტავის, სპორტის მსოფლიო-ტურის მსახიობის შესახებ ისაუბრა:

„სან-ფრანცისკოდან ჩამოვფრინდი აქ, რათა კვარასთვის მხარი დამეჭირა, ქართველი სუპერვარსკვლავისთვის, რომელიც მთელს ქვეყანას ასახელებს. ასეთი ფეხბურთელის ყოლა ჩვენნიანი პატარა ქვეყნისთვის ძალიან მეგობარია. ძალიან ამაყი ვარ.“

მარადონას სტადიონზე ძალიან მეგობრივი ქართული დროა ფრიალებს და ვხუმრობდი კიდევ, რომ ნახევარი ქვეყანა აქ არის. როდესაც მე კალათურის ვთამაშობდი, ყველა ვარსკვლავის მატჩში მონაწილეობის მისაღებ გამოკითხვაში 1.5 მილიონი ხმა მივიღე, ასე რომ ეს ყველაფერი არ მიკვირს. ქართველებს უყვართ ფეხბურთი და ასეთი ფეხბურთელის ყოლის დროს, რა თქმა უნდა, მთელი ქვეყანა მის გვერდითაა“ - განაცხადა ფაჩულიამ. რა თქმა უნდა რეპორტიორებმა ზაზას სიმაღლესთან დაკავშირებითაც იხუმრეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ჯანფრანკო ძოლას გვერდით დააყენეს. ამ ფაქტზე თავად ზაზამაც თქვა, რომ იტალიელი ფეხბურთელი მისი გამოთამაშებელი იქნებოდა.

მატჩის შემდეგ NBA-ის ორგანიზაციის ჩემპიონმა კვარაცხელიასთან ერთად ფოტოც გადაიღო: „ამ ახალგაზრდა ადამიანს ნათელი მომავალი აქვს. განაგრძეთ მისი მრწამსი-ვალეა, სანამ ამ მოგზაურობით სიამოვნებას იღებთ. შენით ვამაყობ, ძმაო“ - დაქრია ქართველმა ცენტრმა საკუთარი სოციალური მედიის გვერდზე.

ტატაგა

საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების შემადგენლობა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ცნობილია.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლაშა გუჯაბიანი წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირისთვის ვაჟთა ნაკრების 9-კაციანი ვარსკვლავთკრებულს დაასახელა, სადაც გაორებულია 90 და 100 კგ წონითი კატეგორიები.

60 კგ - გიორგი სარდალაშვილი, **66 კგ** - ვაჟა მარგველაშვილი, **73 კგ** - ლაშა შავდათუაშვილი, **81 კგ** - ტატო გრიგალაშვილი, **90 კგ** - ლაშა ბექაური, ლუკა მასურაძე, **100 კგ** - ილია სულამანიძე, ვარლამ ლიპარტელიანი, **+100 კგ** - გურამ თუშიშვილი

შეგახსენებთ, რომ ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონატი 7-14 მაისს დოჰაში გაიმართება.



გუჯაბიანის რეპუტა

ოვალური გურთი

მიხეილ ნარიაშვილი: იმედი მაქვს, რომ გულა შეპქლავ გუნდთან ერთად თამაშს

გორჯალღოსანი მარცხენა ბურჯი მიხეილ ნარიაშვილი ერთწლიანი პაუზის შემდეგ მოედანს უბრუნდება და „შავი ლომის“ შემადგენლობაში სამხრეთმერიკულ ტურნებზე გამგზავრება.

32 წლის მორაგბე 2010-2022 წლებში ტოპ 14-ის „მონპელიეში“ თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, თუმცა ტრავმებმა მისი კარიერა შეაფერხა. სექტემბერში მან კოჭსა და მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, ახლა კი პირველ პროფესიულ ქართულ ფრენჩაიზს შეუერთდა.

„საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანს ვუბრუნდები. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც „შავ ლომში“ თამაშის შესაძლებლობა მომცეს. სარეაბილიტაციო პერიოდმა ძალიან კარგად ჩაიარა.“

საკუთარი კონდიციებით კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, რომ რეაბილიტაციის ბოლო ეტაპზე წარმატებით ჩაივლის და მალე შევძლებ გუნდთან ერთად თამაშს“ - ამბობს ნარიაშვილი, რომლის ანგარიშზე 71 სანაკრებო კეპი და ორი ლელოა.

ციხულა

ლატვიიდან - ესპანეთისკენ

საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის II დივიზიონის A ჯგუფისთვის იწყებს მზადებას.

ჩვენი ერთგული გუნდი 2 აპრილიდან 13 აპრილის ჩათვლით ლატვიის ქალაქ ტუკუმში შეიკრიბა, სადაც ადგილობრივ კლუბებთან სავარაუდოდ, 2 ამხანაგურ შეხვედ-

რას ჩაატარებს. მომავალი ფორუმის მატჩები 16 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაიმართება.

ჯვაროსნები ტურნირს 16 აპრილს ისლანდიასთან თამაშით დაიწყებენ, ამის შემდეგ ისრაელს, ესპანეთს და ხორვატეთს შეხვდებიან, თინიშუე კი 22 აპრილს ავსტრალიას გამოცდიან.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ქართველმა ჰოკეისტებმა B ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და ისლანდიასთან ერთად A ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

აუზა

სამეგრის ღუბლი


პანადელმა თინეჯერმა სამერ მაჰინტომ მსოფლიოს კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. მან ამჯერად ეს 400 მეტრზე ინდივიდუალურ შერეული სტილით ცურვაში შეძლო.

მაკინტომ პირველი რეკორდი რამდენიმე დღით აღრე 400 მეტრზე თავისუფალ სტილში დაამყარა.

კანადელმა დისტანცია ოთხ წუთსა და 25.87 წამში გასურა და 0.49 წამით გააუმჯობესა უნგრელი კატინკა ჰოპუს მიერ წიოს ოლიმპიადაზე დამყარებული რეკორდი.

„ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გაცურვისას მაყურებლის შეძახილები მესმოდა. საოცარია, როდესაც იცი, რომ ტრინინგზე მთელი შენი ოჯახი და მეგობრები არიან და გამხნევენ. ეს ბოლო 100 მეტრზე ძალიან დამხმარა“, - განაცხადა 16 წლის მაკინტომ.

ილონ მასკი და ტექნოლოგიური კომპანიები ღია წარიღს აქვეყნებენ



შეჩერდეს ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე მუშაობა!!!

ამასვე მეტი მცენიერი და ტექნოლოგი, მათ შორის ილონ მასკი, სტევ ვოზნიაკი და Stability AI-ის აღმასრულებელი დირექტორი ემოდ მასტაკაც კი, ხელოვნური ინტელექტის განვითარების შეჩერებას ითხოვენ და კაცობრიობის მოსალოდნელ საფრთხეზე აფრთხილებენ. ამის შესახებ მათ მიერ გავრცელებული ღია წერილიდან გახდა ცნობილი.

ლოგოები საზოგადოებამ შეაჩერა. იგივე გვეჩვენება ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში – ისიამოვნეთ ხელოვნური ინტელექტის გრძელი „ზაფხული“ და არ შევხვდეთ მომზადებული მის „შემოდგომას“, – ნათქვამია ღია წერილში.

OpenAI-ის აღმასრულებელი დირექტორი სემ ალტმანი აღიარებს, რომ მას ცოტა ეშინია, რომ ხელოვნური ინტელექტი უარყოფითად იმოქმედებს საზოგადოებაზე.

წერილის ავტორები მოუწოდებენ ხელოვნური ინტელექტის ყველა ლაბორატორიას, რომ მიზნულად 6 თვით დაუყოვნებლივ შეაჩერონ GPT-4-ზე უფრო მძლავრ AI სისტემებზე მუშაობა.

წერილში, მოყვანილი Future of Life-ის კვლევა, სადაც კაცობრიობისთვის სერიოზულ საფრთხეზეა საუბარი. იგი დეტალურად აღწერს საზოგადოებისა და ცივილიზაციის პოტენციურ რისკებს კონკურენტუნარიანი ხელოვნური ინტელექტის სისტემებისგან ეკონომიკური და პოლიტიკური რყევების სახით. ის ასევე მოუწოდებს დეველოპერებს იმუშაონ ხელოვნური ინტელექტის მართვისა და რეგულირებისთვის. თუმცა, ახლა, სამაჩუხაროდ, ამას ვერაფერი დაარეგულირებს, ნათქვამია წერილში. დღეს, ლაბორატორიები დაკავებული არიან სულ უფრო მძლავრი ციფრული სისტემების განვითარებით, რომელსაც ვერაფერი, მათი შემქმნელებიც კი ვერ აკონტროლებენ.

„მძლავრი ხელოვნური ინტელექტის სისტემები უნდა განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ მათი ეფექტი დადებითი იქნება და რისკები მართვადი“.

შეგახსენებთ, რომ Goldman Sachs-ის კვლევის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის შეუძლია შეცვალოს 300 მილიონი სამუშაო ადგილი აშშ-სა და ევროკავშირში.

მოსალოდნელია, რომ ყველაზე მეტად აღმინისტრაციული და იურიდიული სექტორი დაზარალდება, AI შეცვლის აღმინისტრაციული სამუშაოების 46%-ს და იურიდიული სამუშაოების 44%-ს. ისეთი სფეროები, როგორცაა მშენებლობა და მოვლა, ჩანაცვლებას მხოლოდ 4-6%-ით ექვემდებარება და დღეისათვის სამუშაო ძალის მხოლოდ 5% შეიძლება მთლიანად ჩანაცვლდეს AI-ით.

„ეს არ ნიშნავს ზოგადად ხელოვნური ინტელექტის განვითარების შეჩერებას, არამედ უზრალოდ უკან დახევას საბაზო რეგულირების პანდორას ყუთამდე, რომელიც არაპროგნოზირებად შედეგებს გამოაუღებს“, – ნათქვამია ღია წერილში.

არც ისე დიდი ხნის წინ, მასკმა დაიქირავა გუნდი ChatGPT კონკურენტის შესაქმნელად, მანამდე კი OpenAI-ის თანადამფუძნებელიც კი იყო, მაგრამ სტარტაპი 2018 წელს დატოვა და მას „სამინლად კარგი“ უწოდა.

რამ უბიძგა მსოფლიოს წამყვან ინჟინერს, შეშფოთებულიყო ზედმეტად განვითარებულ ხელოვნური ინტელექტით (AI) და ხელი მოეწერა ღია წერილზე?

„ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ „ხელოვნური ინტელექტის ზაფხულით“, გამოვიყენოთ, მაგრამ მაინც მივცეთ მომხმარებელს ადაპტაციის შესაძლებლობა. სხვა პოტენციურად სახიფათო ტექნოლოგიები

მილიონობით ალაშიანის კონკურენტი...

ხელოვნური ინტელექტის 300 მილიონი სამუშაო ადგილის ათვიანი პროგნოზი აშშ-ს. საინვესტიციო ბანკის, Goldman Sachs-ის მიერ გამოცემულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ხელოვნური ინტელექტის შეუძლია, აშშ-სა და ევროპაში ასობით მილიონი სრულგანაკვეთიანი სამუშაო დაკავშირების შესრულება.

კერძოდ, ხელოვნური ინტელექტით შესაძლებელია აღმინისტრაციული და იურიდიული პროფესიებში არსებული სამუშაო ძალის 40%-ზე მეტის ჩანაცვლება. განსაკუთრებით დიდ კონკურენციას შეუქმნის ავტომატიზებული სისტემები ისეთ პროფესიებს, როგორც ურუნალისტიკა.

ზაიმი, ენაი!

გაუხსნელი ენობრივი პარაშუტაბი

1. ამ გოლო დროს ჩვენი მცდელობა ნაღვიკა შეართოლო ქართულმა.

განსაკუთრებით გახშირდა სამი ენობრივი ფორმის უმართებულო ხმარება. სატელევიზიო გადაცემებში ჩვეულებრივია და ზოგჯერ მეტად მედიასაც წასვდება ხოლმე ასეთი გამოთქმა – დაგისხავ. გამომსვლელი არ უკვირდებოდა იმას, რომ ფორმის საწყისია დასხმა. რაკილა ის მა გვერათკომპლექსზე მთავრდება, მაშინ თემის ნიშნად მოგველონება მისი შემრუნებელი სახე – ამ. მაშ, სწორი და დაშვებულია დაგისხ – ამ. ამ რივისა სიტყვები: რტყმა→ვარტყამ (და არა ვარტყავ); გმა→ვაგამ (და არა ვაგავ); სმა→ვისვამ (და არა ვსვავ) და ა.შ.

არა სცოდნია, რომ ისტორია აქვს სახელმწიფოს და არა პიროვნებას. მაგალითად, სწორია საქართველოს ისტორია, რომის ისტორია, ავადმყოფობის ისტორია, ოღონდ არ შეიძლება ვთქვათ ისე, როგორც ამას აკეთებდა დიქტორი: ერთ ისტორიას მოვიყვებ; შენი ისტორია მითხარი; ძან საინტერესოა მისი სიყვარულის ისტორია და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში საჭირო იყო უზრალო ქართული სიტყვა ამზავი. მაშასადამე, უნდა ეთქვა: შენი ამზავი მითხარი; საინტერესოა მისი სიყვარულის ამზავი; ერთ ამზავს გეტყვი და ა.შ.

„მეზვეს მანქანა მომეწონა“; „მამალაძეს გამოსვლა მოვისმინე“... ძე გვერათკომპლექსით დამთავრებული გვარი ივვეცება და ნათესაობითი ჩვეულებრივ ასეთ სახეს მიიღებს: მენამდე→მენამდის წიგნი; მეზვე→მეზვის მანქანა; მამალაძე→მამალაძის გამოსვლა.

ჩემ მიერ დაწინებელი ფორმები – ეს გაუხსნელი ენობრივი პარაშუტაბია, რომლებიც მიწაზე ანარცხებენ და არცხებენ წარმომთქმელთ, რადგან აამკარავებენ მათ გაუნათლებლობას და უკულტურობას. გარდა ამისა, ტელევიზორის ბევრი უსმენს და წარმომთქმელი მცდარი ფორმები სწორი ჰგონია, რაც მათი გავრცელების საშიშროებას ქმნის.


მუშავან თავიღვილი ფილოლოგიის მცენიერებათა დოქტორი, პროფესორი



2. არასწორად ხმარობენ სიტყვა ისტორიას. ამას წინათ ერთ გადაცემაში წამყვანმა ინგა გრივოლიამ ათჯერ მოიმარჯვა „ისტორია“ და ათივეჯერ – მცდარად. ქალბატონს

სანთელი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს კავშირის წევრის, ცნობილი ენერგეტიკოსის, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრის, ღირსების ორდენის კავალრის, მრავალი გამოგონების ავტორის, დამსახურებული ენერგეტიკოსის, ბატონი



გოდარძი ყიასაუვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი

დისტრიბუციის მიკროპრობლემა... სილაგაზის სალონი



თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც 4 ადამიანი მსუბუქად დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, დისტრიბუციის მიკროავტომობილი მსუბუქ ავტომობილს დაეჯახა, რის შემდეგაც ის სილაგაზის სალონის შესასვლელს შეეჯახა. დაშავებულებიდან ერთ-ერთი სალონში მყოფი პირია. არსებული ინფორმაციით, მძღოლმა თავი შეუძლოდ იგრძნო და სწორედ ეს გახდა ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი.

პრასრულწლოვანზე მოკლადას – 16-წლიანი პატიმრობა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვანის გაუპატიურების ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

„ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა 14 წლის არასრულწლოვანზე იძალდა და გააუპატიურა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო არასრულწლოვანის გაუპატიურების ფაქტზე და სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – აცხადებენ საქართველოს პროკურატურაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის აკადემია აზუსტებს:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მცენიერებათა აკადემიის მიერ გახვე „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში (3 აპრილი, 2023 წელი №38) აკადემიის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარმოსადგენ სამუთების ჩამონათვალში გამორჩენილია სიტყვა „ავტომიოგრაფია“.

მიქტორ რსხილაძის ახალი კრებული

ბამოივა გერმანელ ფილოსოფოსთა წერილების კრებული: ფრანკ ფონ ბადერი – საფრანგეთის რევოლუციის მიერ გამოწვეული მოთხოვნები, რათა დამყარდეს რელიგიის პოლიტიკასთან ახალი და უფრო შინაგანი კავშირი; კარლ რანერი – თეოლოგიური ასპექტი ეშმაკული შეპყრობილობის შეფასებისთვის; ვოლფგანგ პანენბერგი – ბოროტებისა და განსაცდელის დაძლევა თავად ღვთის მიერ; ჰაინრიხ შოლცი – ომი და ქრისტიანობა.

ნასი; სანტა-ესპერანსა (ლენინგრადის 12); ბუქმარკი (არაყიშვილის №5).

ფრანკ ფონ ბადერი საფრანგეთის რევოლუციის მიერ გამოწვეული მოთხოვნები, რათა დამყარდეს რელიგიის პოლიტიკასთან ახალი და უფრო შინაგანი კავშირი. კარლ რანერი თეოლოგიური ასპექტი ეშმაკული შეპყრობილობის შეფასებისთვის. ვოლფგანგ პანენბერგი ბოროტებისა და განსაცდელის დაძლევა თავად ღვთის მიერ. ჰაინრიხ შოლცი ომი და ქრისტიანობა.

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ცნობილმა მთარგმნელმა და ფილოსოფოსმა ვიქტორ რსხილაძემ. წიგნი იყიდება: ლატენა; პარ-



შურნალისტთა მორიბი თავსარილობა

საქართველოს შურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა გიწვევთ კავშირის მე-6 (17) ყრილობაზე 2023 წლის 8 აპრილს, შემოქმედებითი კავშირის ოფისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №17, დღის 2 საათზე (რეგისტრაცია დაიწყება ერთი საათით ადრე).

დღის წესრიგი:

1. თანათავმჯდომარეთა ანგარიში;
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. ცვლილებები წესდებაში;
4. ახალი თავმჯდომარის, გამგეობის, სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. სხვადასხვა.

**მონაწილე დელეგატების
დასწრება სავალდებულოა!**

ქართველი უსსრ მეფრსიუპტიან ფილმი



Netflix-ის მძაფრსიუჟეტური ფილმის, **Extraction 2**-ის ახალი ტრეილერი გამოვიდა, რომელშიც მთავარი როლის შემსრულებელ კრის ჰემსვორტთან ერთად ქართველ მსახიობებშიც ჩანან.

Extraction 2-ში მსახიობები თინათინ დალაქიშვილი, თორნიკე გოგრიჭანი და დათო მახტაძე მონაწილეობენ. მათთან ერთად ფილმში ასევე ვიხილავთ ქართველ მულაჟეტიდელ ლევან საგინაშვილსაც. ისინი სავარაუდოდ ქართველ გმირებს ასახიფრებენ. ფილმში ასევე ვიხილავთ თორნიკე მზიავას, ანდრო ჯაფარიძესა და სხვებს.

Extraction 2-ის დიდი ნაწილი პრაღაში გადაიღეს. მართალია თავიდან გადაღებები ავსტრალიაში იგეგმებოდა, თუმცა Covid-19-ის პანდემიის გამო გეგმები შეიცვალა. ფილმის მეორე ნაწილში კრის ჰემსვორტის პერსონაჟი ცდილობს, ქართველი განგსტერებისგან ოჯახი დაიხსნას, რომელიც ციხეში ჰყავთ დატყვევებული. ფილმის პრემიერა 2023 წლის 16 ივნისს შედგება.

ჰარი პოტერი სერიალურად გაგრძელდება



WARNER BROTHERS-თან მოლაპარაკებებში ჰარი პოტერის სატელევიზიო შოუზე წარმატებით მიმდინარეობს. სერიალის თითო სეზონი ჯეი რილინგის თითო წიგნზე იქნება დაფუძნებული. წყაროს ცნობით, სერიალი სცენარისტებს მისცემს საშუალებას, მეტად ღრმად შევიდნენ როლინგის წიგნების სამყაროში. ჰარი პოტერის სერიალთან დაკავშირებით ჭორები პირველად 2021 წელს გავრცელდა. ორი წლის შემდეგ თემა კვალად აქტუალური გახდა და ამჯერად მოლაპარაკებები ჰარი პოტერის მსახიობებთან დაწყებულია.



VOGUE-ის რჩეულებს ასაკი პერ აუინებთ

106 წლის ტატუ-არტიტი აპო ვანგ-ოდი ურნალ Vogue-ის ფილიპინური ვერსიის განუვანის გმირი გახდა. აპო ვანგ-ოდი მსოფლიოში უხუცესი ტატუ-არტიტის წოდებას ატარებს. ტატუების კვება მან 16 წლის ასაკში დაიწყო, მთლიან 15 წელია კი მასთან ტატუს გაკეთების ათასობით მსურველი ჩადის მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

NOKIA მთვარეზე




ფინური ტრანსნაციონალური კომპანია Nokia 2023 წლის ბოლომდე მთვარეზე მობილური ქსელის 4G ამოქმედებას გეგმავს. ამის შესახებ CNBC კომპანიის პრეზიდენტზე, პეკა ლუნდმარკზე დაყრდნობით იტყობინება.

არსებული ინფორმაციით, ქსელის მუშაობისთვის საჭირო ტექნიკას დელამიჩის თანამგზავრე უახლოეს თვეებში SpaceX-ის ხომალდი ჩაიტანს. 4G-ს სადგურების განთავსებას შეკლტონის კრატერში გეგმავენ, რომელიც მთვარის სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს. 4G-ს NASA-ს მისიის Artemis-1-ის ფარგლებში გამოიყენებენ, რომლის მიზნებიც მთვარეზე ადამიანის დაბრუნება და ყინულის მოძიებაა. 4G კი ასტრონავტებს უფრო სანდო კავშირით უზრუნველყოფს, ვიდრე რადიოსიგნალები.

ყველაზე ღრმად პინაპრი თევზი

მაკრონიის სიახლოვეს, იძულებულია ღრმულში მიეწინააღმდეგოს ლოკოკინა თევზები რეკორდულ სიღრმეზე გადაიღეს. აღმოჩენა დასავლეთ ავსტრალიისა და ტოვოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა გააკეთეს. მათ ოკეანეში ავტომატური კამერა ჩაუშვეს, რომელმაც თევზები 8 336 მეტრის სიღრმეზე დააფიქსირეს. შედეგად, ზღვის ლოკოკინა გახდა თევზი, რომელიც ოკეანეში ყველაზე დიდ სიღრმეზე გადაღებული.



მეცნიერებმა ახალი რეკორდსმენის დაჭერა ვერ მოახერხეს, თუმცა 8 022 მეტრის სიღრმეზე რამდენიმე თევზის მოპოვება შეძლეს. აღმოჩნდა, რომ ეს ზღვის ლოკოკინების სახეობა Pseudoli paris-ის წარმომადგენლები არიან. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეკორდსმენი თევზი აღმოაჩინეს სიღრმეზე, რომელიც მაქსიმუმია ნებისმიერი თევზის არსებობისთვის და თუ მომავალში ეს რეკორდი შეიცვლება, ეს მაქსიმუმ რამდენიმე მეტრით მოხდება. აქამდე ეს რეკორდი ამავე ოჯახის წარმომადგენელ თევზს ეკუთვნოდა, რომელიც მარინის ღრმულში, 8 178 მეტრის სიღრმეზე გადაიღეს.

ენინააღმდეგობიან მაკრონის ახალ კანონპროექტსაც

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აცხადებს, რომ საფრანგეთმა უნდა გააუმჯობესოს პალატიური მზრუნველობის ხელმისაწვდომობა და მთავრობა ზოფხულის ბოლოს აპირებს, მიიღოს შესაბამისი კანონპროექტი.

ემანუელ მაკრონის თქმით, კანონპროექტი ეფუძნება შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 184 მოქალაქის გადაწყვეტილებას, რომლებიც ამ საკითხს დეკემბრის შემდეგ განიხილავდნენ. ამ მოქალაქეების 76%-მა აღნიშნა, რომ ისინი მხარს უჭერენ ევთანაზიის მათთვის, ვისაც ეს სურს. მედიის ცნობით, საფრანგეთის ექიმთა ეროვნული საბჭო მაკრონის ინიციატივას ეწინააღმდეგება. ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ევთანაზია დაშვებულია. ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებულია პასიური ევთანაზია, რა დროსაც, პაციენტის მოთხოვნით, ზოგიერთი სამედიცინო მკურნალობა ჩერდება, რაც ადამიანის სიკვდილს იწვევს. ევთანაზია დაშვებულია ზელანდიაში, ნიდერლანდებში, ლუქსემბურგსა და ესპანეთში.

პარიზელნი ელექტრო- სკუტერების წინააღმდეგ



პარიზში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მოქალაქეთა 90% მხარს უჭერს ელექტროსკუტერების აკრძალვას. ოფიციალური მონაცემებით, გამოკითხვაში მონაწილეობა 103 000-მა ადამიანმა მიიღო, მათგან 91 300-მა საკუთარი პოზიცია ელექტროსკუტერების წინააღმდეგ დაადასტურა.

რეფერენდუმი მას შემდეგ დაინიშნა, რაც საფრანგეთის დელაქალაქში ელექტროსკუტერების გამოყენებით დაშვებულია და დალუპულია რიცხვმა მკვეთრად მოიმატა. შეგახსენებთ, პარიზი იყო ერთ-ერთი პირველი ქალაქი, რომელმაც ელექტროსკუტერები შემოიღო, თუმცა, კრიტიკოსების თქმით, მათ უფრო მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე სარგებელი.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS
REPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17

მთავარი რედაქტორი
საბარტაძე ძოძუღია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა ვაშაქიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანიშვილი

599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:

შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

შპს „თანადგომა“-1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იკაძეძაბა სტამბა
„ქოლორი“
ი. პაღლაშვილის №3

კოდორი ჯაჭვი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



2 009882 616932

ავტორთა
საბჭოადავლოდ!
რედაქციის მიერ
შეუქმეთაპი მასალაში
დაიკაძეძაბა
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შეხვედრები, მუდამ
არ ემთხვეოდან
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების
სიზუსტეზე პასუხს
აბეზინ ავტორები.

გაზეთის მომღვაწე ნომერი გამოვა ხვალ, 6 აპრილს



უსსრური ვალუტის ჯარსი:
აუუ ფონური - 2.5517; პირი - 2.7734;
ბრიტანული პირიანა სტარლინგი - 3.1547;
100 რუბლი - 3.2768; თურქული ლირა - 0.1329;
აპერბანული მანათი - 1.5032;
1000 სომხური დრამი - 6.5344

აპრილი 5 აპრილისთვის			
აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ლამ	+6,	ლამ +23
მთიანი რაიონები -	ლამ	+3,	ლამ +22
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ლამ	+13,	ლამ +26
მთიანი რაიონები -	ლამ	+8,	ლამ +24
თბილისი:	ლამ	+10,	ლამ +23

დაგვიკავით, მოგვწერით:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge